საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №2

2011 წ. 1 თებერვალი ქ. ქუთაისი

სამელიორაციო მომსახურების ტარიფების შესახებ

„საქართველოს რეგიონული განვითარების 2010-2017 წწ. სახელმწიფო სტრატეგიის დამტკიცებისა და საქართველოს რეგიონული განვითარების სამთავრობო კომისიის შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 25 ივნისის №172 დადგენილებით დამტკიცდა „საქართველოს რეგიონალური განვითარების 2010-2017წწ. სახელმწიფო სტრატეგია“, რომლის თანახმად სოფლის მეურნეობის, როგორც ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორის, განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონალური განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია.

ამავე დადგენილებით, საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება, საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

აღნიშნული სტრატეგიული მიზნის მიღწევა შეუძლებელია მიწების მელიორაციის გარეშე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მელიორირებული მიწებიდან მაღალი და მყარი მოსავლის მიღებას.

„მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე» საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, I, №76, 29.12.2010, მუხ.512) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ 2011 წლის 4 თებერვლამდე უნდა უზრუნველყოს პირველადი წყალმოსარგებლეების მიერ გაწეული სამელიორაციო მომსახურებისათის ტარიფების დადგენა. ამავე კანონისა და «ნიადაგის დაცვის შესახებ» საქართველოს კანონის მიხედვით პირველადი წყალმოსარგებლე

არის კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელსაც სამელიორაციო ინფრასტრუქტურა გადაეცა განკერძოებულ სარგებლობაში და რომელიც უზრუნველყოფს მის ექსპლუატაციას.

ბუნებრივია, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის ექსპლუატაცია გარკვეულ ხარჯებთანაა დაკავშირებული, რაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, უნდა აისახოს სამელიორაციო მომსახურების ტარიფებში.

დღეისათვის პირველადი წყალმოსაგებლეები არიან შემდეგი შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებები: «სიონი-მ», «მტკვარი-მ», «ალაზანი-მ» და კოლხეთი-მ». მათ წინამდებარე დადგენილების მიღებამდე განსაზღვრული აქვთ თავიანთი სამელიორაციო მომსახურების საფასურები, კერძოდ: შპს «სიონი-მ», შპს «მტკვარი-მ» და შპს «ალაზანი-მ» სამელიორაციო მომსახურების (ირიგაცია) საფასურებია წელიწადში 75 ლარი/ჰექტარზე დღგ-ს ჩათვლით, ხოლო შპს «კოლხეთი-მ» სამელიორაციო მომსახურების (ირიგაცია) საფასურია წელიწადში 45 ლარი/ჰექტარზე დღგ-ს ჩათვლით და სამელიორაციო მომსახურების (დრენაჟი) საფასურია წელიწადში 40 ლარი/ ჰექტარზე დღგ-ს ჩათვლით.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი 2011 წლის 26 იანვრის №1-1-9/10 წერილით ითხოვს, სარწყავი სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, სამელიორაციო მომსახურების ტარიფების დროულად დადგენას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „მიწების მელიორაციის შესახებ“ საქართველოს კანონის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ელექტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, ვადგენთ:

„მუხლი 1. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ პირველადი წყალმოსარგებლეებისათვის სატარიფო მეთოდოლოგიაზე დაფუძნებული სამელიორაციო მომსახურების ტარიფების დადგენამდე, დამტკიცდეს დღეს მოქმედი სამელიორაციო მომსახურების საფასურის ოდენობის ეესაბამისი ტარიფები:

ა) შპს „სიონი-მ“ - სამელიორაციო მომსახურებისთვის (ირიგაცია) – 75 ლარი/ჰექტარზე/წელიწადში

ბ) პს „მტკვარი-მ“ - სამელიორაციო მომსახურებისთვის (ირიგაცია) – 75 ლარი/ჰექტარზე/წელიწადში

გ) შპს „ალაზანი-მ“ - სამელიორაციო მომსახურებისთვის (ირიგაცია) – 75 ლარი/ჰექტარზე/წელიწადში

დ) შპს „კოლხეთი-მ“ - სამელიორაციო მომსახურებისთვის, მათ შორის:

დ.ა) ირიგაცია - 45 ლარი/ჰექტარზე/წელიწადში

დ.ბ) დრენაჟი - 40 ლარი/ჰექტარზე/წელიწადში

მუხლი 2. ამ დადგენილებით განსაზღვრული ყველა ტარიფი მოცემულია დღგ–ს ჩათვლით

მუხლი 3 ეს დადგენილება ამოქმედდეს 2011 წლის 4 თებერვლიდან.

თავმჯდომარე	გ. ჩალაგაშვილი
კომისიის წევრი	ი. ქავთარაძე
კომისიის წევრი	მ. ნადირაძე
კომისიის წევრი	ზ. გაბელაია
კომისიის წევრი	ს. მესხი